

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია

პანდემიური გრიპი გამოწვეულია გრიპის ახალი ტიპის ვირუსით A(H1N1), რომლით დაინფიცირების თეორიული შანსი აქვს ყველას. A(H1N1) გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა დღეისათვის ეპიდემიისა და პანდემიისაგან თავდაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

პანდემიური ვაქცინა არის ისეთივე უსაფრთხო, როგორც სეზონური გრიპის ვაქცინა. გააჩნია იგივე გვერდითი ეფექტი. არ არსებობს მონაცემები ორსულობაზე, შობადობაზე ან ნაყოფზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. უფრო მეტიც, ორსულები მიეკუთვნებიან გაზრდილი რისკის მქონე პირთა ჯგუფს, რომლებშიც ინფექცია უფრო მეტი გართულებებით მიმდინარეობს, ამიტომ მათი ვაქცინაცია პრიორიტეტულია. იმავე ჯგუფს მიეკუთვნებიან ბავშვები, რომელთა გრიპის ახალი ტიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციისას პოსტვაქცინური რეაქცია ვლინდება იგივენაირად, როგორც სხვა ტიპის ვაქცინების შეყვანისას (მაგ. ტკივილი ინექციის ადგილას, ტემპერატურის მომატება და სხვა).

რადგან პანდემიური ვირუსი არის ახალი ტიპის, აუცილებელია მისი როგორც კლინიკური, ისე არაკლინიკური მონიტორინგი, რათა მიღებულ იქნას საჭირო ინფორმაცია ვაქცინაციის უსაფრთხოებისა და იმუნური პასუხის შესახებ. დღეისათვის მასშტაბური კლინიკური გამოკვლევებითაც კი ვერ მოხერხდა იმ შესაძლო არასასურველი შედეგების იდენტიფიკაცია, რომლებიც შეიძლება გახდეს თვალსაჩინო პანდემიის დროს მილიონობით ადამიანის ვაქცინაციის პირობებში.

ჯანმო რეკომენდაციას აძლევს ქვეყნებს ვაქცინის გამოყენების შემთხვევაში აწარმოონ მონიტორინგი მის უსაფრთხოებასა და ვაქცინაციის გართულებებზე.

არსებობს ვაქცინის ორი ტიპი: ინაქტივირებული და ცოცხალი. ინაქტივირებული ვაქცინა ინიშნება ინექციის სახით მკლავის ზედა ნაწილში (ბავშვებში უმჯობესია ბარძაყზე). შესაძლო გართულებებიდან აღსანიშნავია ინექციის ადგილას ტკივილი, შეშუპება და სიწითლე. უფრო იშვიათად ტემპერატურის მომატება, კუნთების, სახსრების ან თავის ტკივილი (უფრო მეტად ბავშვებში). იშვიათია ისეთი ალერგიული რეაქცია, როგორცაა გამონაყარი, კანის ღრმა შრეებისა და ქსოვილოვანი შეშუპების განვითარება, ასთმა ან მწვავე სისტემური ალერგიული რეაქცია, გამოწვეული ვაქცინის კომპონენტების მიმართ გაზრდილი მგრძობელობით.

ცოცხალი ვაქცინა მოწოდებულია ნაზალური სპრეის სახით. მისი გამოყენებისას ადგილი აქვს ცხვირიდან გამონადენს, ცხვირის გაჭედვას, ხველას, ზოგჯერ ყელის ტკივილს, სუბფერილიტეტს, გაღიზიანებადობას, თავისა და კუნთების ტკივილს. გულისრევისა და ღებინების ეპიზოდები ძირითადად აღწერილია ცოცხალი ვაქცინით ბავშვთა იმუნიზაციის შემდეგ.

ვაქცინაციას შეიძლება ახლდეს ზოგიერთი გვერდითი ეფექტი, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ვაქცინის ტიპი, მისი გამოყენების ვარიანტი (როგორ დაინიშნა ვაქცინა), რეციპიენტის ასაკი და სხვა.

არ არსებობს მონაცემები სეზონური, პანდემიური თუ სხვა ტიპის გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ქრონიკულ დაავადებებზე რაიმე (დადებითი ან უარყოფითი) გავლენის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ GBS სინდრომის (გიენ-ბარეს სინდრომი) განვითარების სისშირე ვაქცინირებულ და არავაქცინირებულ პირთა შორის თანაბარია.

ნებისმიერი იმუნიზაციის შემდგომ განვითარებული არასასურველი მოვლენა, რაც ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა, აუცილებლად უნდა ეცნობოს ზემდგომ ორგანოებს.

ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ ვაქცინის ერთჯერადი დოზის გამოყენებას მოზარდებსა და ახალგაზრდებში (ასაკი ≥ 10 წელზე). კვლევის შედეგები მიუთითებენ იმუნო-სუპრესიულ პირებში ვაქცინის ორჯერადი დოზის ეფექტურობაზე. იმ ქვეყნებს, რომლებშიც პრიორიტეტულია ბავშვთა ადრეული ვაქცინაცია, ექსპერტები ურჩევენ 6 თვიდან 10 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერად ვაქცინაციას მაქსიმალური მოცვით.

ინაქტივირებული ვაქცინა შეიცავს დახოცილ ვირუსებს ან მის ნაწილაკებს, რომლებსაც დაავადების გამოწვევა არ შეუძლიათ. ცოცხალი ვაქცინა კი შეიცავს დასუსტებულ ვირუსებს, რომლებიც ცუდად მრავლდებიან, მაგრამ გააჩნიათ დაავადების განვითარების უნარი. ინაქტივირებული ვაქცინა, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა არაგრიპოზულ ვაქცინასთან ერთად (თუმცა ინექციები უნდა გაკეთდეს სხეულის სხვადასხვა ადგილას).

ინაქტივირებული ვაქცინის უკუნევენებები:

- ანაფილაქსური შოკი (ან ჰიპერმგრძობლობითი რეაქციები), ასევე სიცოცხლისთვის სახიფათო სხვა ალერგიული რეაქციები;
- მწვავე რეაქცია გრიპის პირველ ვაქცინაციაზე;
- გიენ-ბარეს (GBS) სინდრომის განვითარება ვაქცინაციიდან 6 კვირის განმავლობაში;
- ბავშვები 6 თვეზე ნაკლებ ასაკში;
- ცხელებით მიმდინარე მწვავე დაავადებები (საჭიროა გამოჯანმრთელებამდე მოცდა).

პანდემიური გრიპის ვაქცინით არ არის შესაძლებელი გრიპის სხვა ტიპის ვირუსებისაგან დაცვა. ამიტომ უმჯობესია მოსახლეობის იმუნიზაცია ორივე – პანდემიური და სეზონური გრიპის ვაქცინებით.

სიტუაციასთან დაკავშირებით რეკომენდაციები მომავალში შეიძლება შეიცვალოს.

არის რამოდენიმე მიზეზი, რის გამოც ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ ვაქცინაციის შემდგომ დაავადდნენ. არც ერთი ვაქცინა (მათ შორის გრიპის) არ არის უნივერსალური, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად ამცირებენ დაავადების განვითარების რისკს. ამასთან, გრიპის ვაქცინა ეფექტურია ვაქცინაციიდან 14 დღის შემდეგ (ეს პერიოდი საჭიროა ორგანიზმში იმუნიტეტის ჩამოსაყალიბებლად), ამიტომ აღნიშნულ პერიოდში შეიძლება ადგილი ჰქონდეს გრიპის ნებისმიერი ტიპის ვირუსით დაინფიცირებას.

პანდემიის პირობებში ჯანმო იძლევა რეკომენდაციას უპირველესად ჯანდაცვის თანამშრომელთა ვაქცინაციასთან დაკავშირებით სისტემის ფუნქციის შეუფერხებლობის და პაციენტთა უსაფრთხოების მიზნით. ამ შემთხვევაში ასევე პრიორიტეტულია მაღალი რისკის მქონე სხვა ჯგუფების ვაქცინაცია (ორსულები, ბავშვები, ხანდაზმულები და ა.შ.)

ჯანმო სოლიდარულია ყველა ქვეყნის ვაქცინებით უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით იგი ჯრჯერობით დაბალი ან საშუალო შემოსავლების მქონე 95 ქვეყანას უზრუნველყოფს, რათა მიღწეულ იქნას ამ ქვეყნებში მოსახლეობის მინიმუმ 10%-ის იმუნიზაცია. აღნიშნულ ქვეყნებში ვაქცინების პირველადი მიწოდება მოსალოდნელია 2009 წლის ნოემბრიდან 2010 წლის თებერვლამდე.